პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _

2022 წლის _ _ თებერვალი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ(თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2021 წლის III–IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2021 წლის III–IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — რევაზი დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482203262**
თარიღი: **01/02/2022**
პინი: **0102**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წარმოგიდგენთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge

ანგარიში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების

მართვის სამსახურის მიერ 2021 წლის III - IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მუნიციპალური ქონების მონაცემთა ბაზის შექმნას და განახლებას; სახელმწიფო საკუთრების ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაზე ზედამხედველობას, წინადადებებისა და საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას მუნიციპალური ქონების შექმნის, შეძენის, პრივატიზების ან სარგებლობაში გადაცემის საკითხებზე; რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალური ქონების პრივატიზებასა და სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით; მუნიციპალური ქონების საპრივატიზებო ნუსხის პროექტის მომზადებას; საპრივატიზაციო ან სარგებლობით გადასაცემი ქონების დოკუმენტაციის მომზადება; საჯარო და/ან ელექტრონული აუქციონისათვის სათანადო დოკუმენტაციის მომზადებას; შეიმუშავებს წინადადებებს მუნიციპალიტეტის ძირითად (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ. ახორციელებს ასევე კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

2021 წლის III -IV კვარტალში სამსახურის მიერ შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაო:

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის განხორციელების მიზნით შექმნილმა კომისიის მიერ დაკმაყოფილდა 10 განმცხადებელი და გაიცა საკუთრების მოწმობა.

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე სახელმწიფოდან გადმოცემული იქნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

სამსახური ახორციელებს სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაცემული მუნიციპალური ქონების მოსარგებლეებისაგან საიჯარო თანხის გადახდის მონიტორინგს. ამ პერიოდში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში (შენობა-ნაგებობები) იჯარის ფორმით გადაცემული ხელშეკრულებით შეტანილმა თანხამ შეადგინა **32706,65** ლარი, ხოლო მიწის იჯარით 26902.29 ლარი.

-ფიზიკურ პირს ნათია ლიკლიკაძეს საბანკო მომსახურეობის გაწევის მიზნით, უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით გადაეცა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 21.67 კვ.მ. ფართი. საკ.კოდი N29.07.32.282.

-ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებას'' უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა, 1-ლი შესახვევი, N4-ში მდებარე 9725 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. საკ.კოდი N29.08.37.210.

-ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას'' უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა, N15-ში მდებარე უძრავი ქონება (საბავშვო ბაღი). საკ.კოდი N29.08.37.163.

-საქართველოს საპატრიარქოს უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაეცა ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა, მე-3 შესახვევი, N12-ში მდებარე 3517 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. საკ.კოდი N29.08.34.144.

-ა(ა)იპ ,,სოფლის განვითარების სააგენტოს'' უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა, ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N25-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული 61.3 კვ.მ. ფართი. საკ. კოდი N29.08.34.014.01.528.

-ოჯახის ექიმს ნინო კალმახელიძეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული 108.29 კვ.მ. ფართი. საკ.კოდი N29.10.37.366.

-ოჯახის ექიმს მანონი სვანაძეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთში მდებარე შენობაში განთავსებული 20.63 კვ.მ. ფართი. საკ.კოდი N29.17.31.463.

-ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრს'' უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლეხინდრისთავში არსებული უძრავი ქონება (ბიბლიოთეკა). საკ.კოდი N29.02.31.031.

-ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს'' უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N25-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული 215 კვ.მ. ფართი. საკ. კოდი N29.08.34.014.01.508.

-ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრს'' უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მესხეთში არსებული უძრავი ქონება (ყოფილი კლუბის შენობა), საკ.კოდი N29.13.31.006.

ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებითა და მოთხოვნის საფუძველზე შპს ,,მაგთიკომს', ს/ს ,,სილქნეტს'', შპს ,,დატაკომს'' სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის უფლებით გადაეცათ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაზობრივი ნაგებობები-გარე განათების ბოძები, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის-ინტერნეტის გატარებისთვის მოსახლეობის მომსახურების მიზნით.

სამსახურის მიერ ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება სახელმწიფო რწმუნებულის აპარატიდან შემოსულ წერილებზე მიწის ნაკვეთების პრივატიზებასთან დაკავშირებით.

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში გაგზავნილია მოთხოვნა სხვადასხვა უძრავი ქონებების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე. სახელმწიფოდან გადმოცემული იქნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

-წყალტუბოს მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით საკუთრებაში გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა, 1-ლი შესახვევი, N4-ში მდებარე 9725 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. საკ.კოდი N29.08.37.210.

-წყალტუბოს მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით საკუთრებაში გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში მდებარე 211 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა. საკ.კოდი N29.11.33.532.

-წყალტუბოს მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით საკუთრებაში გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში მდებარე 300 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. საკ.კოდი N29.09.49.058.

-წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში მდებარე 170 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა. საკ. კოდი N29.12.33.586.

-წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხომულში, ჭავჭავაძის ქუჩა N68-ის მიმდებარედ არსებული 403 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. საკ. კოდი N29.09.35.342.

მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური ახორციელებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მასალების აღრიცხვა-რეგისტრაციას, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან არსებული აღიარების კომისიის მიერ სხდომაზე განსახილველი მასალების-დოკუმენტაციის და განკარგულების პროექტების მომზადებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახური ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით, მერის დავალებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ(თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2021 წლის III–IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2021 წლის III–IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

ადრესატი:

რევაზი დიდავა
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**49-49220393**
თარიღი: **08/02/2022**

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ რევაზ დიდავას

ბატონო რევაზ,
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 1 თებერვლის N48-482203262 წერილით წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე მოვამზადე განკარგულების პროექტი - ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ", რომელსაც წარმოგიდგენთ კომისიის სხდომაზე განხილვის მიზნით.

გელა თათარაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-აპარატის უფროსი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ 2022 წლის 24 თებერვლის კომისიის სხდომაზე განიხილა ანგარიში - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი ანგარიში, რომელზედაც კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულოს აპარატის მიერ მომზადდა შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე
რევაზ დიდავა